გამარჯვება სამი თვის შემდეგ

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 7 ოქტომბერი. 27.000 მაყურებელი.

“ტორპედო” (ქუთაისი) – “დინამო” (თბილისი) 1:0.

“ტორპედო”: ტყებუჩავა, ფრუიძე, კუდინოვი, ჭილაია, პაიკიძე, ჯოხაძე, კორღალიძე, კერესელიძე, მეგრელაძე, ხაგბა, ჟორჟიკაშვილი.

“დინამო”: გაბელია, კეტაშვილი, მახარაძე, ჭედია, არზიანი, ბარათაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, მიქაბერიძე, ჩელებაძე, მესხი.

74–ე წთ. ჟორჟიკაშვილი.

მე–15 წთ. კერესელიძის ნაცვლად – ვასაძე, 56–ე წთ. ხაგბას ნაცვლად – კვერნაძე. 68–ე წთ. მახარაძის ნაცვლად – კაკილაშვილი, 71–ე წთ. მესხის ნაცვლად – გურული.

მსაჯი: ნიკოლაი იუროვი (ომსკი).

დუბლიორები – 0:1. გოლი გაიტანა ჟორდანიამ.

კარში დარტყმა – 16:7 (7:3), ზუსტი დარტყმა – 4:2 (2:1), საჯარიმო მოედნიდან – 5:2 (2:1).

კუთხური – 3:1 (3:0).

დაჯარიმდნენ: ქუთაისელები 18 (9), თბილისელები – 19 (10).

ამ გუნდების პირველი მატჩი მაისის შუა რიცხვებში შედგა თბილისში. მაშინ, თუ შეიძლება ითქვას, ერთგვარი “ოქროს” ხანა” გვედგა. “დინამო” ერთპიროვნულად ლიდერობდა ჩემპიონატს, “ტორპედო” გათამაშების ცხრილში მე–7–მე–9 ადგილებს იყოფდა. საგანგაშო არაფერი გვქონდა…

მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ჩვენი გუნდებიც განმეორებით მატჩს უაღრესად მძიმე სატურნირო მდგომარეობით შეხვდნენ. ზედიზედ ორი დამარცხების გამო “დინამომ” ვერ შეძლო ცხრილის შუაგულში მყარი პოზიციების განმტკიცება, რაც შეეხება “ტორპედოს”, მან ბოლო გამარჯვება ზუსტად სამი თვის წინ მოიპოვა და… ერთი სიტყვით, კიდევ ერთი დამარცხება ქუთაისელი ფეხბურთელებისათვის აუტსაიდერთა რიგებში საბოლოოდ დარჩენას ნიშნავდა.

ქართული ფეხბურთის ავანგარდის გუშინწინდელმა “დათვალიერებამ”, სამწუხაროდ, უპირველეს ყოვლისა, ის სუსტი მხარეები უფრო დაგვანახა, რომელთა გამო ორივე გუნდი ასეთ კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე იმის იმედი, რომ მდგომარეობა სწრაფად და მკვეთრად გამოსწორდება.

“ტორპედომ”, რომელსაც უკან დასახევი გზა აღარა აქვს, თამაში აქტიურად და მონდომებით დაიწყო, მეგრელაძე უკვე მეორე წუთზე გაბელიას პირისპირ გავიდა, მაგრამ მეკარემ მას წამით დაასწრო და ფეხით მოიგერია ბურთი, ათიოდე წუთის შემდეგ მანვე აიღო ხაგბას ძლიერად დარტყმული ბურთი. დინამოელებმა მასპინძელთა კარის მიმართულებით ბურთი მხოლოდ მე–16 წუთზე გაგზავნეს. მიუხედავად იმისა, რომ მინდორზე საკმაოდ შეუპოვარი ბრძოლა მიმდინარეობდა, საგოლე მომენტამდე საქმე არ მიდიოდა, ორივე გუნდის შეტევებს აკლდა ორგანიზებულობა, კომბინაციებს – სიმწვავე, გადაცემებს თუ დარტყმებს – სიზუსტე.

ანალოგიურად წარიმართა მეორე ნახევარიც, თუმცა დასაწყისში დინამოელები შეეცადნენ თამაშის გამწვავებას, ტემპსაც უმატეს. მაგრამ ეს წამიერ აფეთქებას უფრო ჰგავდა და მას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ორმხრივი შეცდომებით აღსავსე მატჩში, ტორპედოელებმა გაცილებით მეტი მონდომება და შეუპოვრობა გამოავლინეს, 74–ე წუთზე ჟორჟიკაშვილმა ოსტატურად

ითამაშა თბილისელთა საჯარიმო მოედნის წინა ხაზთან და ძლიერი დარტყმით ბურთი მაღალ კუთხეში გაგზავნა – 1:0.

თამაზ ხარაბაძე (“ლელოს” საკ. კორ.).
“ლელო”, 9 ოქტომბერი, 1985 წ.